სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №224/01-01,02.11.2017წ.
დანართი №1

2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის (საფრანგეთი) მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა
შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. სტიპენდიების კანდიდატები
სტიპენდიების კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. სტიპენდიატების შერჩევა
ა) სტიპენდიატების შერჩევა ხორციელდება რენისა და თსუ-ს ერთობლივ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაცია
2. ზეპირი პრეზენტაცია
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-სა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.